Katalysta Alpha

ხშირად დასმული კითხვები (FAQ)

რა არის Katalysta Alpha?

Katalysta Alpha-სთან ერთად ჩვენ ტრადიციულ განათლებას თავდაყირა ვაყენებთ. შევიმუშავეთ ახალი სასწავლო მეთოდები, რომლებიც დაგეხმარებათ პროგრამირების ინდუსტრიაში კარიერის დაწყებისთვის უფრო სწრაფად, უკეთ და ეფექტურად მოემზადოთ. ინოვაციური სწავლების ტექნიკებისა და მეთოდოლოგიების გამოყენებით, თითოეულ სტუდენტს პერსონალურად ვუდგებით. ეს ხელს უწყობს გუნდურ მუშაობას და, რაც მთავარია, გაძლევთ შეუფასებელ პრაქტიკულ გამოცდილებას. ჩვენი ტრენერები თქვენთვის პირადი მენტორები და მწვრთნელები არიან, რომლებიც გეხმარებიან თქვენს ძლიერ მხარეებზე მუშაობაში და ყველა საჭირო უნარის განვითარებაში, რომ IT სექტორში თქვენი სასურველი სამსახური იპოვოთ.

ვინ შეიძლება ჩაერთოს კურსში და როგორ?

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 18 წელს გადაცილებულ დაინტერესებულ პირებს, რომელთაც სურთ IT სფეროში კარიერის დაწყება. პროგრამა განკუთვნილია მათთვის, ვისაც მცირე ან საერთოდ არ აქვს პროგრამირების გამოცდილება, ტექნიკური მიმართულების სტუდენტებისთვის, ახალბედა დეველოპერებისთვის ან სხვა სფეროს სპეციალისტებისთვის.

მისაღები პროცესის ეტაპებია:

- რეზიუმესა და სააპლიკაციო ფორმის შევსება (სავალდებულო)
- ლოგიკური აზროვნების ტესტი (სავალდებულო)
- ადრეული გამოცდის დაწერა (არასავალდებულო)
- პროგრამირების საფუძვლების უფასო კურსი (არასავალდებულო)
- საბოლოო გამოცდა (სავალდებულო)
- ინტერვიუ (მოთხოვნის შემთხვევაში)

რომელი სფეროდან მოდიან სტუდენტები?

ტიპიური პროფილი არ არსებობს. ჩვენ ვასწავლეთ ხალხს სხვადასხვა სფეროდან, მათ შორის, სკოლის კურსდამთავრებულებს, IT სტუდენტებს, არქიტექტორებს, იურისტებს, მარკეტოლოგებს, ფინანსისტებს, ბარმენებს და ბევრი სხვა პროფესიის ადამიანს. თუმცა, მათ ყველას ერთი რამ აერთიანებთ – თქვენ მსგავსად, მათაც სურთ წარმატებული კარიერის შექმნა IT სექტორში. ზოგიერთი მათგანი ცდილობს დაიწყოს ახალი, სტაბილური და უფრო დამაკმაყოფილებელი კარიერა, მაშინ როცა სხვებს არ აქვთ წინა პროფესიული გამოცდილება და ახდენენ საკუთარი ოცნების რეალიზებას. ასეთ მრავალფეროვან ჯგუფთან ერთად სწავლა საუკეთესო საშუალებაა ტექნიკური და რბილი უნარების განვითარებისთვის.

როგორ მოვემზადო მისაღები გამოცდისთვის?

მისაღები გამოცდა ამოწმებს პროგრამირების საწყის უნარებს. თქვენ შეგიძლიათ გამოცდა ჩააბაროთ თქვენთვის სასურველ ენაზე (Python, Java, C#, JavaScript, C++). თუ პროგრამირებაში ახალბედა ხართ, ჩვენ გირჩევთ, გამოიყენოთ ჩვენი უფასო პროგრამირების საფუძვლების კურსი.

თუ პროგრამირების გამოცდილება მცირე ან საერთოდ არ მაქვს, ეს ჩემი კურსზე მოხვედრის შანსებს ამცირებს?

არა. ყველა აპლიკანტი შეფასდება მათი მოტივაციისა და საბოლოო გამოცდის შედეგების მიხედვით.

Alpha-ში განაცხადის გაკეთებისას გეძლევათ წვდომა პროგრამირების საფუძვლების უფასო კურსზე. კურსის ფორმატი უზრუნველყოფს ინტერაქტიული თვით-მომზადებისა და ონლაინ შეხვედრების ბალანსს. ეს არის მარტივი და ურისკო გზა, რათა გაიგოთ, არის თუ არა პროგრამირება თქვენი მოწოდება და მოემზადოთ Alpha პროგრამისთვის.

რა დრო სჭირდება მისაღები გამოცდისთვის მომზადებას, თუ პროგრამირების გამოცდილება არ მაქვს?

მომზადებისთვის საჭირო დრო დამოკიდებულია თქვენი სწავლის ტემპსა და მოტივაციაზე. რეგულარული სწავლა და პრაქტიკა საკმარისი იქნება მისაღები გამოცდის მასალის შესასწავლად.

როგორ შეიძლება მონაწილეობა პროგრამირების საფუძვლების კურსში?

პროგრამირების საფუძვლების კურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა შეავსოთ შესაბამისი სააპლიკაციო ფორმა. კურსში მონაწილეობისთვის არ გჭირდებათ წინასწარი გამოცდილება. სწავლობთ თქვენთვის სასრუველი ტემპით, ინტერაქტიული მასალების მეშვეობით და გეძლევათ შესაძლებლობა, დაესწროთ 7 ონლაინ შეხვედრას ინსტრუქტორებთან ერთად. ეს სრულიად ურისკო გზა რათა გაერკვეთ პროგრამირებაში და გადაამოწმოთ საკუთარი მზაობა ამ სფეროსთვის.

როგორ შეიძლება მონაწილეობა საცდელ გამოცდებში?

საცდელი გამოცდები ჩატარდება სასწავლო სისტემაში (ხელმისაწვდომი იქნება განაცხადის შევსების შემდეგ) და შეგიძლიათ ჩააბაროთ ონლაინ. გამოცდის დაწყების შემდეგ გაქვთ 3 საათი დავალებების შესასრულებლად და შედეგების გასაგზავნად. გაითვალისწინეთ, რომ საცდელი გამოცდების შედეგები არ გამოიყენება კურსზე მიღების პროცესში და მათი მიზანია თქვენი ცოდნის შეფასება.

არის თუ არა მინიმალური ქულა მისაღები გამოცდისთვის?

არა, კანდიდატების საბოლოო შერჩევა არ ეფუძნება მხოლოდ ქულებსა და ტესტის შედეგებს.

რა მოიცავს კანდიდატების შერჩევის პროცესი?

ჩვენ ვიყენებთ ჰოლისტურ მიდგომას კანდიდატების შერჩევისას. კანდიდატების შერჩევა არ ეფუძნება რაღაც მარტივ ფორმულას და ქულებით შეფასების სისტემას. ჩვენ განვიხილავთ სხვადასხვა ფაქტორს: სააპლიკაციო დოკუმენტებს, მისაღები გამოცდის შედეგებს, აპლიკანტის პირად მოტივაციას, ლოგიკური აზროვნების ტესტის შედეგებს და სხვა. საჭიროების შემთხვევაში კანდიდატები გაივლიან ინტერვიუს, მათი კარიერული მისწრაფებებისა და მიზნების უკეთ გასაგებად.

რა მოიცავს ლოგიკური აზროვნების ტესტი და როგორ ვაქცევ მას?

ლოგიკური აზროვნების ტესტი არის 45-წუთიანი გამოცდა, რომელიც აფასებს ინფორმაციის ინტერპრეტაციის, ლოგიკური აზროვნების და პრობლემის გადაჭრის უნარს. ტესტი ტარდება ონლაინ და მოიცავს მრავალჯერადი არჩევანის კითხვებს. ტესტზე მისაღებად მიიღებთ ელექტრონულ მოწვევას 1-3 დღით ადრე.

თუ ინტერვიუზე მიმიწვიეს რას გამოკითხავენ?

ინტერვიუ ფოკუსირებულია აპლიკანტის მოტივაციასა და მიზნებზე. მისი მიზანია დაადგინოს, რამდენად შეესაბამება პროგრამა კანდიდატის საჭიროებებსა და მოლოდინებს.

კურსი ონლაინ ჩატარდება?

პროგრამა ტარდება ონლაინ. სტუდენტებისთვის აუცილებელია რეგულარული დასწრება. სტუდენტებს აქვთ 10 სესიის გამოტოვების შესაძლებლობა. სრული კურსისან 3 კვირა ეთმობა თვითმომზადებას რა დროსაც ონლაინ სესიებზე დასწრება არ მოგიწევთ.

აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად?

დიახ, მასალები და ლექციები ინგლისურ ენაზე იქნება.

შეუძლებელია მუშაობა პროგრამის განმავლობაში?

Katalysta Alpha-ს პროგრამა ინტენსიურია და მოითხოვს 100%-იან ჩართულობას. პროგრამა ტარდება ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით და მოიცავს დღეში 4 საათის ტრენინგებსა და დამატებით მომზადების დროს. აქედან გამომდინარე კურსის გავლის პარალელურად სრული გრაფიკით მუშაობ საკმაოდ რთული იქნება.

შესაძლებელია ლექციის გაცდენა?

პროგრამის განმავლობაში თქვენ გეძლევათ 10 სესიის გაცდენის შესაძლებლობა.

თუ ლექციას გამოვტოვებ, იქნება მასალა ხელმისაწვდომი?

ჩვენი ყველა ლექცია იწერება და თქვენ შეგეძლებათ გამოტოვებული სესიის ნახვა მას შემდეგ რაც ის აიტვირთება სასწავლო სისტემაში.

უნდა გავაფორმო კონტრაქტი პროგრამაში ჩართვისთვის?

დიახ, ყველა მიღებულ სტუდენტს უწევს კონტრაქტის გაფორმება Katalysta Georgia -სთან. განვადებით სარგებლობის შემთხვევაში თქვენ მოგიწევთ ცალკე ხელშეკრულების გაფორმება ჩვენს პარტნიორ ბანკთან.

რა მოხდება, თუ პროგრამას დავტოვებ?

თუ პირველი 4 კვირის განმავლობაში გადაწყვეტთ კურსის დატოვებას, თქვენ ამის გაკეთებას შეძლებთ ყოველგვარი პრობლემის გარეშე.

იქნება საშინაო დავალებები?

სტუდენტებს რეგულარული საშინაო დავალებების წარდგენა არ მოეთხოვებათ, მაგრამ მათ შესაძლოა მივცეთ დავალებები თემის სპეციფიკის მიხედვით.

ყველა სტუდენტი ასრულებს პროგრამას?

პროგრამის დასასრულებლად საჭიროა ყველა მოთხოვნისა და დავალების წარმატებით შესრულება.

მივიღებ სერტიფიკატს პროგრამის დასრულების შემდეგ?

პროგრამის კურსდამთავრებულები სერტიფიკატს მიიღებენ.

პროგრამის დასრულების შემდეგ პროგრამირების კარიერას დავიწყებ?

კურსის შემდეგ ჩვენი კურსდამთავრებულები მონაწილეობას მიიღებენ კარიერულ მხარდაჭერის პროგრამაში, სადაც ისინი ისარგებლებენ ჩვენი მენტორების მხარდაჭერით და წინამძღოლობით, რაც გაცილებით ამარტივებს ახალ სფეროში დასაქმების პროცესს.

კურსის შემდეგ თქვენ გექნებათ შესაძლებლობა თქვენი სურვილისამებრ გაერკვეთ ქართულ IT სფეროში, მოიძიოთ ღია პოზიციები და დაგეგმოთ თქვენი მომავალი.

რა ღირს პროგრამა?

Katalysta Alpha-ს პროგრამაში სტუდენტები გამოიმუშავებენ იმ აუცილებელ ტექნიკურ და რბილ უნარებს, რომლებიც IT სექტორში მათი კარიერის სწრაფ განვითარებას შეუწყობს ხელს. ჩვენ გვინდა, რომ უფრო მეტ ადამიანს მივცეთ წვდომა ჩვენს მსოფლიო კლასის ტრენინგებზე, გამოცდილი ინსტრუქტორების, კარიერისა და პირადი განვითარების სპეციალისტების დახმარებით, ხოლო ჯგუფები მცირე ზომის (25-35 ადამიანი) შევინარჩუნოთ და პირადად მორგებული განათლება შევთავაზოთ თითოეულ სტუდენტს.

კურსის ღირებულება 9500 ₾ არის. შეგიძლიათ დაიწყოთ განვადებით გადახდა ბანკის სესხით, ყოველთვიური გადასახადით 195₾-დან(48-თვიანი განვადების გრაფიკის საფუძველზე).